

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დავით ხაჭაპურიძე

საბანკო კონკურენციის თავისებურებანი საქართველოში

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - შიფრი 0204

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი:

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

პროფესორი

/მ. ვანიშვილი/

რეგენზენტები:

1.

2.

დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივლისს ----- საათზე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერ-
ტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,

სტუ-ს პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. საქართველოს საბანკო სექტორმა, საკმარისად დიდი ხანია რა ფუნქციონირებს და ვითარდება საბაზრო პირობებში, უკვე მოასწრო მათდამი დიდწილად ადაპტირება და გამოიმუშავა მისი საქმიანობის „ჩავარდნების“ თავიდან აცილების მთელი რიგი მექანიზმები. მაგრამ კრიზისული სიტუაციები ქვეყანაში ხშირად გამოავლენენ განუსაზღვრელობის პრობლემებს საბანკო სექტორის ფუნქციონირებაში, რასთან დაკავშირებითაც იგი განიცდის სირთულეებს შემდგომ განვითარებაში. საბანკო ინფრასტრუქტურის განვითარების რეგიონული უთანაბრობა და განსხვავება ცალკეული ტერიტორიების საბიუჯეტო-საგადასახადო პოტენციალში იწვევს ქვეყნის საბანკო სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხის გამწვავებას.

საქართველოში საბანკო საქმიანობა მნიშვნელოვნად საჭიროებს ისეთ რეგულირებას, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და საკმარისი კონკურენციის პირობების შექმნას, რაც ქვეყნის საბანკო სექტორის ეფექტიანი განვითარების გარანტია. საბანკო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი კონკურენციის დონის არსებობა დღევანდელი დღის საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა, რამდენადაც ცივილიზებული კონკურენცია საბანკო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და პროგრესული განვითარების აუცილებელი ელემენტია. ამასთან დაკავშირებით, ბანკთაშორისი კონკურენციის ეროვნული თავისებურებების განსაზღვრა ადასტურებს აქტუალობას და განაპირობებს ავტორის მიერ სადისერტაციო გამოკვლევის თემის შერჩევას.

თემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებასა და ქვეყნის საბანკო სისტემაში „ბაზელ-III“-ის ნორმების დანერგვასთან დაკავშირებით.

თემის დამუშავების ხარისხი. კონკურენციის ზოგადი საკითხები საკმაოდ კარგად არის დამუშავებული როგორც სამამულო, ასევე საზღვარგა-

რეთულ ლიტერატურაში ისეთი სპეციალისტების მიერ, როგორცაა მ. პორტერი, იუ. რუბინი, ა. სტრიკლენდი, ა. ტომპსონი და სხვ.

საბანკო კონკურენციის ფუძემდებლები გახდნენ მ. მონტი და მ. კლეინი, რომლებმაც შექმნეს ბანკი-მონოპოლისტის თეორიული მოდელი, ასევე სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში ბანკების ქცევის მოდელების შემსვები (კერძოდ, ა. შტალი) და განმაზოგადებელი (კ. ფრეიკსი, ჟ-შ. როშე, პ. კონიუხოვსკი) მეცნიერები. ბანკების მომგებიანობაზე, ეფექტიანობასა და სტაბილურობაზე ბაზრის კონკურენტული მოწყობის შესაძლო გავლენას იკვლევდნენ ა. ბერგერი, ა. ბუტი, მ. გუზმანი, მ. დჟენსენი, ტ. პადოა-შიოპა, მ. პეტერსენი, რ. რაიანი, ა. სანდერსი, ს. შაფერი და სხვ.

უცხოელი ეკონომისტების შრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საბანკო კონკურენციის გლობალიზაციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები (ლ. გოლდბერგი, მ. გრუბელი, დ. დჟონსი, ს. დრობიშევსკი ვ. ზრაჟევსკი, ე. ჟარკოვსკაია, ო. ლავრუშინი, ე. ლობანოვა, ო. მარკოვა, ნ. მარტინენკო, ვ. მურინდე, ა. როგოვიცი, ნ. სამსონოვი, ო. პასტრე, იუ. პარკი, მ. პეტროვი, ტ. ხუერტასი, დ. ცვიკი, და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ საბანკო კონკურენციის საკითხებს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მრავალი ავტორი (ვლ. ასათიანი, რ. ბურდი-აშვილი, შ. გოგიაშვილი, მ. ვანიშვილი, ა. ინგოროყვა, ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე, ქ. ლაფაჩი, ვ. მოსიაშვილი, ლ. ქოქიაური, გ. ცაავა, გ. ხანთაძე, გ. ხელაია, თ. ხორგუაშვილი და სხვ.) ეხება, საბანკო კონკურენციის ანალიზისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევები კვლავ ცოტაა. მათ შორის აუცილებელია გამოიყოს ლ. ბერიძის, ო. გორგოდის, მ. მერჯანის და პ. ლეჟავას ნაშრომები. მაგრამ, საქართველოში საბანკო კონკურენციის თავისებურებების გამოვლენისა და მისი სრულყოფის მიმართულებების განსაზღვრის საკითხებმა ვერ მიიღო საკმარისად ღრმა თეორიული დამუშავება. ამასთან დაკავშირებით, დოქტორანტის მიერ აქცენტი კეთდება საბანკო კონკურენციის ქართული თავისებურებების გამოკვლევაზე.

საბანკო კონკურენციის ანალიზისადმი ასეთი მიდგომის არარსებობამ, ასევე მთელი რიგი საკითხების არასათანადო მეცნიერულმა დამუშავებულობამ და სადისკუსიო ხასიათმა განაპირობა მოცემული კვლევის მიზანი, ამოცანები, ობიექტი და საგანი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. *კვლევის მიზანია* საქართველოში საბანკო კონკურენციის არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე მისი ეროვნული თავისებურებების გამოვლენა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

დასმული მიზნის მიღწევამ მოითხოვა გამოკვლევის ლოგიკისა და სტრუქტურის განმსაზღვრელი *შემდეგი ამოცანების* გადაწყვეტა:

- საბანკო კონკურენციის თეორიული საფუძვლების დამუშავება და კონკურენციის თეორიის ცნებითი აპარატის დაზუსტება;
- საბანკო კონკურენციის განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და გააზრება გლობალიზაციის პირობებში;
- საბანკო კონკურენციის რეგულირების ქართული გამოცდილების შესწავლა და განზოგადება;
- საქართველოს საბანკო სექტორის კონკურენტული გარემოს განმაზოგადებელი მაჩვენებლების გაანალიზება;
- კონკურენციის არსებული დონის შეფასება საქართველოს საბანკო სექტორში;
- საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო-სამართლებრივი, ინსტიტუციური და მეთოდური უზრუნველყოფის რეკომენდაციების დამუშავება.

კვლევის ობიექტი და საგანი. *კვლევის ობიექტად*, კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოდის საბანკო კონკურენცია. *კვლევის საგანია* საბანკო კონკურენციის თავისებურებები და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში.

კვლევის მეთოდოლოგია ემყარება ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპს, სისტემურ მიდგომას, შედარებით ანალიზს, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებს, სტატისტიკური და ეკონომიკურ-მათემატი-

კური ანალიზის ხერხებს. ნაშრომში გამოყენებულია დაჯგუფების, შეფასებისა და ანალოგიის მეთოდები.

კვლევის თეორიულ საფუძველს შეადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები საბანკო კონკურენციის საკითხებზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ეკონომიკური ინსტიტუტების ანალიტიკური ანგარიშები, საბანკო კონკურენციის რეგულირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების რეკომენდაციები.

კვლევის ემპირიული ბაზა საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სტრუქტურების საინფორმაციო-სტატისტიკურ და ანალიტიკურ მასალებს; ქართველი ავტორების მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში, სასწავლო ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ მონაცემებს; ინტერნეტის ქსელის, საინფორმაციო და სარეიტინგო სააგენტოების რესურსებს; დისერტანტის მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგებს.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს საბანკო კონკურენციის თეორიის განვითარებაში, საქართველოში მისი თავისებურებების გამოვლენასა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში. მეცნიერული სიახლის კონკრეტული ელემენტები მდგომარეობს შემდეგში:

1. საბანკო კონკურენციის თეორიული საფუძვლების კრიტიკული განხილვის გზით დაზუსტებულია კონკურენციის თეორიის ცნებითი აპარატი: (ა) წარმოდგენილია საბანკო კონკურენციის ავტორისეული განმარტება, რომლის თანახმად, საბანკო კონკურენცია არის ბანკებს შორის მეტოქეობის პროცესი, რომელიც განპირობებულია განსაზღვრულ ბაზარზე მოგების წყაროებისა და ზრდის შესაძლებლობების შეზღუდულობით და მიმართულია მათ გადანაწილებაზე ყველაზე მეტად ეფექტიანი ბანკების სასარგებლოდ; (ბ) კონკურენციის სფეროებისაგან დამოუკიდებულებით, *გამიჯნულია* ცნე-

ბები „შიდა და საერთაშორისო“ საბანკო კონკურენცია და ბანკების „ეროვნული და საერთაშორისო“ კონკურენტუნარიანობა. საყოველთაოდ აღიარებული მიდგომისაგან განსხვავებით, საერთაშორისო საბანკო კონკურენცია *განხილულია* როგორც კონკურენცია ეროვნულ და უცხოურ ბანკებს შორის ეროვნულ ბაზრებზე. ეროვნული კონკურენტუნარიანობის ქვეშ *გაგებულია* ცალკეული ქვეყნების ბანკების უნარი კონკურენცია გაუწიონ უცხოურ ბანკებს ეროვნულ ბაზარზე. მისგან განსხვავებით, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა *ფორმულირებულია* როგორც ეროვნული ბანკების კონკურირების უნარი უცხოურ ბანკებთან საზღვარგარეთულ ბაზრებზე.

2. *გამოვლენილია* საბანკო კონკურენციის განვითარების ძირითადი ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში: საბანკო საქმიანობის უნივერსალიზება და საფინანსო კონგლომერატების (ჯგუფების) ჩამოყალიბება; არასაბანკო სტრუქტურების მიერ საბანკო ბაზრებზე ფართოდ შეღწევა; საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგიონული და ეროვნული სფეროების გაფართოება, საბანკო კონკურენციის გლობალიზება; არაფასობრივი კონკურენციის მნიშვნელობის მუდმივი ზრდა; კონკურენციის სახელმწიფო რეგულირების ლიბერალიზება. აღნიშნული ტენდენციების ერთობლივი ქმედება განაპირობებს საბანკო კონკურენციის ინტენსივობას.

3. საბანკო კონკურენციის რეგულირების ქართული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე *დასაბუთებულია* დასკვნა იმის თაობაზე, რომ კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფი საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის გაფართოება კომერციულ ბანკებს აძლევს უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგან მომხმარებლებისაკენ. აქ იგულისხმება როგორც საბანკო მომსახურების ხარისხი, ასევე მისი მიწოდების გეოგრაფია და ცალკეული საბანკო პროდუქტების ხელმისაწვდომობა.

4. საქართველოს საბანკო სექტორის კონკურენტული გარემოს განმარტოგადებელი მაჩვენებლების გაანალიზებით *დადგენილია*, რომ რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი დრო ეთმობა ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩ-

ვენებლების განხილვას; ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა მასშტაბის ეფექტი, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობის არსებობა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების შეძლებისდაგვარად შეფასება.

5. საბანკო სექტორში კონკურენციის არსებული დონის წმინდა სესხებისა და მთლიანი საბანკო აქტივების მეთოდებით შეფასების გზით დადგენილია, რომ საქართველოს საბანკო ბაზარი ზომიერად მონოპოლიზებული ფარგლებშია, თუმცა მისი კონცენტრაცია თითქმის მიღწეულია ზედა კრიტიკულ ზღვარს, რომლის იქით ბაზარი ხდება მაღალმონოპოლიზებული. ამასთან, H-statistic მეთოდის გამოყენებით აშკარად იკვეთება დომინირება ორი წამყვანი კომერციული ბანკისა (CR2), რომელთა საბაზრო მდგომარეობა აშკარად არღვევს კონკურენციის დამდგენ წესებს.

6. დამუშავებულია საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო-სამართლებრივი, ინსტიტუციური და მეთოდური უზრუნველყოფის რეკომენდაციები: (ა) დასაბუთებულია დასკვნა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ ქვეყნის საბანკო სექტორში კონკურენციის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მოწესრიგების თვალსაზრისით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. და წარმოდგენილია ამ ღონისძიებათა ნუსხა; (ბ) კონკურენტული საბანკო გარემოს ფორმირების ინსტიტუციური უზრუნველყოფის მიზნით, არგუმენტირებულია დებულება საბანკო სისტემის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერების, საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის ეროვნული ბანკის შემადგენლობაში დატოვების მიზანშეწონილობის თაობაზე; (გ) გამოვლენილია ბანკების კონკურენტუნარიანობის საკვანძო ფაქტორები: ფინანსური მდგრადობის ფაქტორთან ერთად, გამოყოფილია კლიენტთა ლოიალობის ფაქტორიც და დასაბუთებულია მისი წამყვანი როლი უცხოური ბანკების მონაწილეობის გაძლიერების პირობებში. ბანკების კონკურენტუნარიანობის ფაქტორები განიხილება მათი მაკონკრეტიზებული სუბფაქტორების ჭრილში, რომელთა შეფასება ხორციელდება რიგი კრიტი-

რიუმებითა და მათი შესაბამისი მაჩვენებლებით. ამ ფაქტორების, სუბფაქტორების, კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემატიზაციით *წარმოდგენილია* ბანკებისა და საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის შეფასების მოდიფიცირებული მეთოდიკა.

კვლევის შედეგების გამოყენების სფერო. კვლევის შედეგების თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს კონკურენციის თეორიისა და საბანკო სფეროში მისი გამოყენების პრაქტიკის განვითარებაში. ავტორის მიერ ფორმულირებული დებულებების, წინადადებებისა და რეკომენდაციების რეალიზაცია ხელს შეუწყობს როგორც ცალკეული ბანკების, ასევე მთლიანად საქართველოს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ავტორის მიერ მიღებული მეცნიერული შედეგები, განზოგადებები და დასკვნები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების კანონშემოქმედებით საქმიანობაში - საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო-სამართლებრივი, ინსტიტუციური და მეთოდური უზრუნველყოფისას, აგრეთვე სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობაში - შესაბამისი პროფილის სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო ანგარიშების მომზადებისას.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა განპირობებულია განსახილველი საკითხების ხასიათით, კვლევის ამოცანებითა და მეთოდებით. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 169 გვერდს. შედგება შესავალი ნაწილის, ძირითადი ტექსტისა (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, სამთავად წარმოდგენილი შედეგების განსჯა და დასკვნა) და 153 დასახელები-საგან შემდგარი გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი და ამოცანები, ობიექტი და საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ემპირიული ბაზა, მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია კვლევის შედეგების გამოყენების სფერო, სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხგაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ: საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ, რა ალტერნატიული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემის გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წინამდებარე ნაშრომში.

პირველ თავში - „საბანკო კონკურენციის თეორიული საფუძვლები და მსოფლიო ტენდენციები“ - განხილულია საბანკო კონკურენციის თეორიული საფუძვლები და მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკის საბანკო სექტორთან მისადაგებით დაზუსტებულია კონკურენციის თეორიის ცნებითი აპარატი.

ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურაში არსებულ შეხედულებათა კრიტიკული შეფასების საფუძველზე, წარმოდგენილია საბანკო კონკურენციის ავტორისეული განმარტება, რომლის თანახმად, საბანკო კონკურენცია არის ბანკებს შორის მეტოქეობის პროცესი, რომელიც განპირობებულია განსაზღვრულ ბაზარზე მოგების წყაროებისა და ზრდის შესაძლებლობების შეზღუდულობით და მიმართულია მათ გადანაწილებაზე ყველაზე მეტად ეფექტიანი ბანკების სასარგებლოდ. ფაქტობრივად, ეს განსაზღვრება ასახავს კონკურენციის წინაპირობასაც - განვითარებისათვის შესაძლებლობების შეზღუდულობა, მის შედეგსაც - ყველაზე ეფექტიანი ბანკების ბუნებრივი შერჩევა, და მის დინამიურობასაც - რესურსების მუდმივი გადანაწილება.

კონკურენციის სფეროებისაგან დამოკიდებულებით, გამიჯნულია ცნებები „შიდა და საერთაშორისო“ საბანკო კონკურენცია და ბანკების „ერო-

ვნული და საერთაშორისო“ კონკურენტუნარიანობა. საყოველთაოდ აღიარებული მიდგომისაგან განსხვავებით, საერთაშორისო საბანკო კონკურენცია განხილულია როგორც კონკურენცია ეროვნულ და უცხოურ ბანკებს შორის ეროვნულ ბაზრებზე. საერთაშორისო კონკურენცია გამოვლინდება ეროვნულ ბაზრებზე ტრანსსასაზღვრო ოპერაციების ან ფილიალებისა და უცხოური შვილობილი ბანკების ოპერაციების ფორმით.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის ქვეშ გაგებულია ცალკეული ქვეყნების ბანკების უნარი კონკურირება გაუწიონ უცხოურ ბანკებს ეროვნულ ბაზარზე. მისგან განსხვავებით, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა მდგომარეობს ეროვნული ბანკების უნარში კონკურირება გაუწიონ უცხოურ ბანკებს საზღვარგარეთულ ბაზრებზე.

ბანკების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, თავის მხრივ, წარმოდგენილია ორგვარად - საზღვარგარეთულად და უცხოურად. საზღვარგარეთულ კონკურენტუნარიანობაზე საუბრისას მხედველობაში მიიღება ეროვნული ბანკების უნარი კონკურენცია გაუწიონ უცხოურ ბანკებს უცხოურ ბაზრებზე რეზიდენტი კლიენტების საერთაშორისო ოპერაციების მომსახურებისას. უცხოურ ბანკებთან კონკურირების უნარი არა მხოლოდ რეზიდენტი კლიენტების ეროვნულ ბაზარზე მომსახურებისას, არამედ უცხოელი კლიენტების უცხოურ ბაზარზე მომსახურების დროსაც წარმოქმნის უცხოურ კონკურენტუნარიანობას - საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის განვითარების უმაღლეს ხარისხს.

ამავე თავში გამოვლენილია საბანკო კონკურენციის განვითარების ძირითადი ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში: საბანკო საქმიანობის უნივერსალიზება და საფინანსო კონგლომერატების (ჯგუფების) ჩამოყალიბება; არასაბანკო სტრუქტურების მიერ საბანკო ბაზრებზე ფართოდ შეღწევა; საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგიონული და ეროვნული სფეროების გაფართოება, საბანკო კონკურენციის გლობალიზება; არაფასობრივი კონკურენციის მნიშვნელობის მუდმივი ზრდა; კონკურენციის სახელმწიფოებრივი რეგულირების ლიბერალიზება. აღნიშნული ტენდენ-

ციების ერთობლივი მოქმედება განაპირობებს საბანკო კონკურენციის ინტენსივობას.

მეორე თავში - „კონკურენციის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და შეფასება საქართველოს საბანკო სექტორში“ - შესწავლილი და შეფასებულია საბანკო კონკურენციის რეგულირების ეროვნული გამოცდილება, საბანკო სექტორის კონკურენტული გარემოს ამსახველი განმაზოგადებელი მაჩვენებლები და კონკურენციის დონის კონკრეტული პარამეტრები.

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განვითარების ხანმოკლე (1992 წლიდან დღემდე) ისტორიის ანალიზით დადგენილია, რომ კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირებისათვის სამართლებრივი და ორგანიზაციული ბაზის მშენებლობა არათანამიმდევრულობით, წყვეტილობითა და წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა.

ისევე, როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, საქართველოშიც კონკურენციული პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის სრულიად ახალი მიმართულება, გარკვეული ობიექტური პრობლემებისა და არსებული წინააღმდეგობების ფონზე ვითარდებოდა, რასაც კიდევ უფრო ართულებდა 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება.

2000-იანი წლების დასაწყისში, ნაცვლად კონკურენციული პოლიტიკის განვითარებისა და საერთაშორისო ნორმებთან მიახლოებისა და ანტიმონოპოლიური სამსახურის სტატუსის გაძლიერებისა, თანდათან გამოიკვეთა ზოგადი კონკურენციული კანონმდებლობის დარგობრივი ნიშნით ფრაგმენტაციისა და იმ დროს მოქმედი ანტიმონოპოლიური სამსახურის დასუსტების მცდელობა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დამოკიდებულება კონკურენციული პოლიტიკისადმი კიდევ უფრო გაუარესდა და გამოიხატა კონკურენციის პოლიტიკის როლის იგნორირებაში განვითარების კონკრეტულ ეტაპზე.

ამრიგად, ანტიმონოპოლიური რეგულირების 24-წლიანი პერიოდის დიდი მონაკვეთი გამოირჩევა ქვეყნის ხელისუფლების მიერ კონკურენცი-

ული პოლიტიკის როლისა და მნიშვნელობის სრული იგნორირებით და კანონისა და აღმასრულებელი ინსტიტუტის ფორმალური არსებობით.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განვითარების აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იყო გარკვეული წარმატებებიც როგორც საკანონმდებლო ბაზის, ასევე ინსტიტუციური განვითარებისა და კანონმდებლობის აღსრულების პროცესში. ამაზე მიუთითებს, როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის ამსახველი მასალები, ასევე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ უცხოელი ექსპერტის შეფასებაც.

საბანკო კონკურენციის რეგულირების ქართული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე დასაბუთებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ კონკურენტული გარემოს უზრუნველმყოფი საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის გაფართოება კომერციულ ბანკებს აიძულებს უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგან მომხმარებლებისაკენ. აქ იგულისხმება როგორც საბანკო მომსახურების ხარისხი, ასევე მისი მიწოდების გეოგრაფია და ცალკეული საბანკო პროდუქტების ხელმისაწვდომობა.

საქართველოს საბანკო სექტორის კონკურენტული გარემოს განმაზოგადებელი მაჩვენებლების ანალიზით დადგენილია, რომ რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში სულ უფრო მეტი დრო ეთმობა ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას; ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა მასშტაბის ეფექტი, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობის არსებობა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების შეძლებისდაგვარად შეფასება.

ნაშრომში ჩატარებულ იქნა კვლევა, რომელმაც მოიცვა ჰერფინდ-ალჰირშმანის ინდექსის (HHI) საფუძველზე საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონის განსაზღვრა წმინდა სესხებისა და მთლიანი აქტივების მეთოდების გამოყენებით. კვლევას საფუძვლად დაედო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული საბანკო სექტორის სტატისტიკა.

განგარიშებებში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური მონაცემები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩატარებული ანალიზით მიღებული შედეგის თანახმად, წმინდა სესხების მეთოდით $HHI=2200$, ხოლო მთლიანი საბანკო აქტივების მეთოდით $HHI=2216$. შესაბამისად, ორივე მეთოდით შეფასებული საბანკო ბაზარი ზომიერად მონოპოლიზებული ფარგლებშია, თუმცა მისი კონცენტრაცია თითქმის მიღწეულია ზედა კრიტიკულ ზღვარს, რომლის იქით ბაზარი ხდება მაღალმონოპოლიზებული. მომავალში თუ გაგრძელდება კომერციული ბანკების შერწყმის პროცესი, ინდექსი ადვილად გადალახავს 2250 ნიშნულს და გახდება მაღალმონოპოლიზებული.

კონკურენციის დონის განსაზღვრის მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მეშვეობით განსაზღვრული ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი კონკურენციის დონის დადგენისათვის ხშირად არ იძლევა სასურველ შედეგს. ამიტომ ეს ინდექსი არ მიიჩნევა საბანკო სექტორში კონკურენციის დამდგენ უნივერსალურ მეთოდად და უცხოურ პრაქტიკაში უფრო აქტიურად გამოიყენება იგივე არასტრუქტურული მოდელები (მაგალითად, H-statistic), რომელიც აწესებს საბანკო კონკურენციის დამდგენ უფრო დახვეწილ მეთოდს.

H-statistic მეთოდით კვლევის შედეგების თანახმად, აშკარად იკვეთება დომინირება ორი წამყვანი კომერციული ბანკისა (CR2), რომელთა საბაზრო მდგომარეობა აშკარად არღვევს კონკურენციის დამდგენ წესებს.

ქართულ საბანკო სისტემაში მაღალ კონკურენციაზე არაერთი ფაქტი მიუთითებს, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

(1) საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ მაღალია მნიშვნელოვანი პერსონალის (key personnel) ხელფასები (აქ სახელფასე ხარჯის წილი მთლიანი საოპერაციო ხარჯების 50,3 %-ია, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი ევროპაში საშუალოდ შეადგენს 35,3 %-ს, შუა აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში კი - 28,9 %-ს).

(2) საქართველოში მაღალია ბანკომატებისა და ფილიალების რაოდენობა. ცენტრალურ ქუჩებზე ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული ბევრი ბანკის ფილიალი. ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებშიც კი გვხვდება ერთდროულად რამდენიმე ბანკის ფილიალი და ბანკომატი. აღსანიშნავია ფილიალების ვიზუალური მხარე და სერვისი, რაც განვითარების მიხედვით, მსგავს ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია.

(3) ფილიალებით ყველაზე მსხვილი ბანკის 197 ფილიალიდან მინიმუმ 149 ფეხით სავალ მანძილზე მდებარეობს 3 შედარებული კონკურენტიდან მინიმუმ ერთი-ერთი ბანკის ფილიალი.

(4) ერთსა და იმავე სავაჭრო ობიექტში ხშირად გვხვდება რამდენიმე ბანკის ელექტრონული გადახდის (POS) ტერმინალი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კლიენტის ექსკლუზიურ (კარტელურ) მომსახურებაზე ბანკებს შორის შეთანხმება არ არის.


(5) საქართველოს საბანკო სისტემაში წარმოდგენილია მსოფლიოში ბევრი კარგად ცნობილი ბანკი თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ ქართული ბანკების კაპიტალის 86 პროცენტის მფლობელები უცხოელი ინვესტორები არიან. ხშირ შემთხვევაში მსხვილი სესხები გაიცემა მშობელი კომპანიების გარანტიებით და ზოგჯერ სრულად თუ ნაწილობრივ მათ მიერ ფინანსდება.

(6) საკმაოდ ხშირია კონკურენტი ბანკების მიერ სხვა ბანკებიდან კლიენტების გადმოზირების ფაქტები სესხების რეფინანსირების გზით. ეს ფაქტორი კიდევ უფრო გამწვავდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინსწრებით დაფარვის საკომისიოს 2 პროცენტთან და ზედს ზღვარის დაწესების შემდეგ. ეს თვალშისაცემია გამმაფრებული სარეკლამო კამპანიებითაც (სესხების პორტირება, 3 თვის პროცენტი საჩუქრად და სხვა).

(7) კონკურენციას ხელს უწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი, რითაც შესაძლებელი გახდა სესხისა და დეპოზიტის რეალური (ეფექტური) საპროცენტო განაკვეთის სხვადასხვა ბანკებში შედარება.

(8) კონკურენციის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს სინდიცირებული სესხების თითქმის არ არსებობაც, რაც საკმაოდ ხშირია სხვა ქვეყნებში.

(9) სწორედ კონკურენცია იწვევს მარკეტინგის მაღალ ხარჯებს, რაც ასევე თვალში საცემია ჩვეულებრივი მოქალაქისათვის. ამ ხარჯებმა 2014 წელს გადასახადებამდე წმინდა მოგების 9 პროცენტს, ხოლო მთლიანი შემოსავლების თითქმის 3 პროცენტს მიაღწია. ეს მაჩვენებელი შესაბამისობაშია აშშ-ს საბანკო სისტემის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ნახაზი 1).



ნახაზი 1. მარკეტინგული ხარჯები აშშ-სა და საქართველოში

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკის დაკრედიტების საკმაოდ დაბალი დონის მიუხედავად, სესხის მომსახურების ტვირთი თითოეულ მსესხებელზე საკმაოდ მძიმეა, რასაც მაღალი საპროცენტო განაკვეთები და მოკლე ვადიანობები განაპირობებს. ყოველივე ეს კი, სესხის ყოველთვიურ შენატანს ზრდის. ვადიანობის ზრდა, მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში აზრს კარგავს, რადგან ვადიანობის მიუხედავად ყოველთვიურ შენატანში დიდია და არ იცვლება პროცენტის წილი, ხოლო ძირითადი თანხა უმნიშვნელოდ მცირდება. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების შემცირება სასურველია არა მარტო საერთო ეკონომიკური განვითარებისათვის, არამედ აუცილებელი წინაპირობაა თვით ბანკების შემდგომი ზრდის მისაღწევად.

საპროცენტო განაკვეთების შემცირების ყველაზე პრიორიტეტულ და რეალურ მიმართულებებად შეიძლება დასახელდეს შემდეგი: (ა) *საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესება*, ერთი მხრივ, საბანკო სისტემის მასშტაბის ზრდით იქნება მიღწეული, ხოლო მეორე მხრივ, შიდა სისტემების ოპტიმიზაციით, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით არის შესაძლებელი. ეფექტიანობის გაუმჯობესებას ასევე ხელს შეუწყობს საბანკო სისტემის კიდევ უფრო მეტი კონსოლიდაცია. თუმცა, ეს არ უნდა ასოცირდებოდეს კონკურენციის შეზღუდვასთან. პირიქით, კონსოლიდაცია გაზრდის ეფექტიანობას, წარმოშობს ბაზრის ახალ ძლიერ მოთამაშეებს, შეამცირებს ბანკების ხარჯებს, რაც, საბოლოო ჯამში, სასესხო განაკვეთის კლებაში აისახება და მოსახლეობას სესხის მომსახურების ტვირთს შეუმსუბუქებს. (ბ) *ვალდებულებების ხარჯის შემცირება*. ეს უკანასკნელი ბუნებრივად მოხდება ქვეყანაში დანაზოგების დონის ზრდით, რაშიც დიდ წვლილს შეიტანს საპენსიო რეფორმის განხორციელებაც. ქვეყნის რისკის შემცირება და საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი რესურსის გაიაფებას; (გ) *საქართველოში მაღალი საკრედიტო რისკებიდან გამომდინარე, რისკების მართვის ფუნქციის გაძლიერება* ბანკების მხრიდან რაციონალური და მოსალოდნელი ნაბიჯია. რისკების მართვის განვითარების წასახალისებლად აქტიურად მუშაობს სეზ-იცი, რაც, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების მზარდი გამოყენებით გამოიხატება.

მესამე თავი - „საბანკო კონკურენციის სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი საქართველოში“ - ეძღვნება სამ-ერთიანი ამოცანის (საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო-სამართლებრივი, ინსტიტუციური და მეთოდური უზრუნველყოფის რეკომენდაციების მომზადება) გადაწყვეტას.

უწინარეს ყოვლისა, *პირველი ამოცანის* გადაწყვეტასთან დაკავშირებით. საბანკო სექტორში კონკურენტული სივრცის შექმნა და გაფართოება პირდაპირ უკავშირდება კონკურენციის შესახებ საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის გაუმჯობესებას. ხელისუფლების მთავარი გამოწვევა სწორედ

იმაში მდგომარეობს, რომ დაიხვეწოს საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საბანკო კონკურენციის რეგულირებაზე. ამასთან დაკავშირებით, გარკვეული ამოცანები დგება საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე, მისი მარეგულირებელი და საზედამხედველო როლის გააქტიურების თვალსაზრისით.

საბანკო კონკურენციის სფეროში არსებული კანონმდებლობის შესწავლის საფუძველზე ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ არსებული საკანონმდებლო ნაკლოვანებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა, საქმიან წრეებთან დიალოგის ფორმატში, აუცილებელია შეიმუშაონ და მიიღონ საბანკო სფეროში კონკურენციის სრულყოფის უზრუნველყოფი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მთელი კომპლექსი, შესწორებები შეიტანონ უკვე არსებულ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისა და რეგულირების პრობლემატიკის უფრო სრულად მოცვის მიზნით, დროულად გადასამუშაველია არსებული კანონი „კონკურენციის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება თანამედროვე მსოფლიო გამოცდილება და, რომელიც მაქსიმალურად დაუახლოვდება ევროკავშირის საკონკურენციო კანონმდებლობას და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს კონკურენციის სფეროში. ამასთან, საქართველოს კანონს „კონკურენციის შესახებ“ უნდა დაემატოს ერთი თავი, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ბანკს დაავალდებულებს საბანკო სექტორში ჯანსაღი კონკურენციის განვითარების დარეგულირებასა და ხელშეწყობაში. გარდა ამისა, აუცილებელია „იპოთეკის“, „უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციის“ და „დეპოზიტების დაზღვევის“ კანონების დამუშავებისა და პარლამენტის მიერ მათი მიღების პროცესის დაჩქარება.

მეორე ამოცანა უკავშირდება კონკურენტული საბანკო გარემოს ფორმირების ინსტიტუციურ უზრუნველყოფას.

დასაბუთებულია, რომ საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ინსტიტუციური და სტრუქტურული მოწყობის სისუსტე საჭიროებს სა-

ბანკო სისტემის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს კონკურენტული საბანკო გარემოს ფორმირების ინსტიტუციურ უზრუნველყოფას.

საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების ორგანოებს უნდა შესწევდეთ უნარი განახორციელონ სისტემური დაკვირვება და ანალიზი საბანკო სექტორის ფუნქციონირებაზე მთლიანობაში, აკონტროლონ მაკრო-ეკონომიკური გარემოს გავლენა ფულად-საკრედიტო სფეროზე და ამ უკანასკნელის ზემოქმედების ხარისხი წარმოების განვითარებაზე, ყველაზე ადრეულ სტადიაზე გამოავლინონ საბანკო სექტორში წარმოქმნილი პრობლემები და შეაფასონ ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგები, ჩამოაყალიბონ პოზიცია საბანკო რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენების მიზანშეწონილობასა და დროულობაზე.

ქვეყნის საბანკო სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირების მიმართულებით ბოლო პერიოდში გატარებული ღონისძიებების შესწავლის საფუძველზე და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი ეტაპის თავისებურებათა გათვალისწინებით, არგუმენტირებულია დებულება საბანკო სისტემის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერების, საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის ეროვნული ბანკის შემადგენლობაში დატოვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გატარებულია აზრი იმის თაობაზე, რომ თუ მაინცდამაინც გადაუდებელი გახდება ზედამხედველობის გატანა სებ-იდან, ეს ცვლილება უთუოდ თანხვედრაში უნდა მოვიდეს ბაზელის ძირითად პრინციპებთან ეფექტური საბანკო ზედამხედველობის შესახებ. ასევე, ცალსახად უნდა იყოს ნაჩვენები, თუ რა გარანტია ექნება ნებისმიერ ახალ სააგენტოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით, კარგი იქნება თუ ევროკავშირს მიმართავთ კონსულტაციისთვის იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულება გვაქვს აღებული ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, რათა გავაუმჯობესოთ საბანკო ზე-

დამხედველობა და ცენტრალური ბანკის კანონმდებლობა, ევროკავშირისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მხარდაჭერით.

მესამე ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე ბანკების კონკურენტუნარიანობის შეფასების მოდიფიცირებული მეთოდის დასაბუთებასა და შემუშავებასთან.

როგორც წესი, ბანკების შეფასებისათვის გამოიყენება განსხვავებული მაჩვენებლების ერთობლიობაზე დაფუძნებული სხვადასხვა სახის რეიტინგები. ასეთი რეიტინგები ბანკებს აფასებენ სამი ძირითადი მიმართულებით:

- საიმედოობა: CAMEL(S), ვ. კრომონოვის მეთოდიკა;
- ფინანსური მდგრადობა: RATE, საქართველოს ბანკის მეთოდიკა;
- კრედიტუნარიანობა: სააგენტოების (Moody's, Fitch, S&P) რეიტინგი, ექსპერტი.

თუმცა, დღეისათვის, ბანკის სტაბილურობის ყველაზე უფრო მეტად საჯარო და გავრცელებულ კრიტერიუმს წარმოადგენენ სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგები. საკრედიტო რეიტინგები ინფორმაციას აწვდიან კრედიტორს ან ინვესტორს დაბანდებული საშუალებების რისკიანობაზე. ბანკისათვის რეიტინგი გავლენას ახდენს კაპიტალის წვდომაზე და განსაზღვრავს მის ღირებულებას. მენეჯმენტისა და საზოგადოებისათვის საკრედიტო რეიტინგები გამოიყენება, როგორც მოცემული ბანკის წარმატებულობის ინდიკატორი.

გამოყენებული მაჩვენებლების სიმრავლის მიუხედავად, საკრედიტო რეიტინგები, უმთავრესად, ფოკუსირდებიან ფინანსური მდგომარეობის შეფასებაზე, მაშინ როდესაც კლიენტთა მოლოდინებსა და მოთხოვნილებებს არასათანადო ყურადღება ეთმობა. რეიტინგის შედგენის პროცესში გამოიყენება ინფორმაციის დიდი რაოდენობა, რომელიც მიუწვდომელია ფართო საზოგადოებისათვის, მისი შერჩევისა და დამუშავების მეთოდოლოგია იშლება სრული მოცულობით, ანალიტიკოსების დასკვნები და წინადადებები კი ყოველთვის შესაძლებელი არ არის ინტერპრეტირდეს როგორც კონ-


კურენტული უპირატესობა ან ნაკლოვანება. კიდევ მეტი, ყველა ბანკი ვერ იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მომსახურებას.

ეს მიზეზები განაპირობებენ ბანკების კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდის შემუშავების აუცილებლობას, რომელმაც უნდა უპასუხოს შემდეგ მოთხოვნებს: (ა) გაითვალისწინოს ბანკის უნარი დააკმაყოფილოს კლიენტის მოთხოვნილებები და მოთხოვნები; (ბ) გამოიყენოს უპირატესად საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია; (გ) დაეყრდნოს უპირატესად შეფარდებით მაჩვენებლებს და მათ საშუალო საბაზრო მნიშვნელობებს, რაც შეესაბამება კონკურენტუნარიანობის შეფარდებით ბუნებას და იძლევა ბაზრის განვითარების თავისებურებებისა და ტენდენციების გათვალისწინების საშუალებას; (დ) იყოს სტრუქტურირებული, რათა შესაძლებელი გახდეს მსჯელობა არა მხოლოდ კონკურენტუნარიანობის დონეზე, არამედ ასევე კონკურენტულ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე.

ბანკის კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი დისერტანტის მიერ შემოთავაზებული მიდგომა ემყარება ორ საკვანძო ფაქტორს: კლიენტთა ლოიალობას და ფინანსურ მდგრადობას. კლიენტთა ლოიალობის ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმება მათი ერთგულება ბანკისადმი, ანუ მტკიცე კავშირების არსებობა, უპირატესად მისი მომსახურებით სარგებლობა. თუმცა, თუ გამოვალთ პოსტულატიდან, რომ კლიენტების მაღალი ლოიალობა დამოკიდებულია მოცემულ ბანკში მომსახურების მიმზიდველობაზე (მომსახურების ხარისხი, ფასი, იმიჯი და ა.შ.), მაშინ ყოველთვის არსებობს კლიენტების მიგრაციის ალბათობა იმ ბანკში, რომელსაც გააჩნია უკეთესად მომსახურების უზრუნველყოფის უნარი და, მაშასადამე, უფრო მაღალი ლოიალობა. ამრიგად, ლოიალობა, როგორც კონკურენტუნარიანობის ფაქტორი, განაპირობებს აგრეთვე ახალი კლიენტების მოზიდვის ალბათობას.

ფაქტორები განიხილებიან მათი სუბფაქტორების ჭრილში, რომლებიც, თავის მხრივ, ხასიათდებიან კრიტერიუმებითა და მათი შესაბამისი მაჩვენებლებით. ფაქტორების, სუბფაქტორების, კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემატიზაციამ საშუალება მისცა ავტორს წარმოედგინა ბანკებისა და სა-

ბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის შეფასების მოდიფიცირებული მეთოდიკა (ნახაზი 2).



ნახაზი 2. ბანკის კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდიკა

მეთოდიკა წარმოადგენს ბალურ-რეიტინგულს. ბანკის კონკურენტუნარიანობის ყოველი ფაქტორის, სუბ-ფაქტორისა და კრიტერიუმისათვის გამოიყოფა ხუთი დონე (5-ბალიანი შკალის შესაბამისად). უფრო მაღალი რანგის შემადგენელთა შეფასება გამოითვლება როგორც უფრო დაბალი თანრიგის შემადგენელთა შეწონილ შეფასებათა ჯამი. ამ მეთოდიკის გამოყენება ქართული ბანკების კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს კონკურენტი-ბანკების ჯგუფების ძლიერი და სუსტი მხარეები, შეფასდეს საქართველოს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის თანამედროვე მდგომარეობა და განისაზღვროს მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

ზოგადი დასკვნები

სადისერტაციო გამოკვლევის ძირითად დებულებათა განზოგადების საფუძველზე ყალიბდება შემდეგი ზოგადი დასკვნები:

1. საბანკო ბაზარზე კონკურენცია ატარებს გარკვეულ სპეციფიკურ ნიშნებს, რითაც იგი განსხვავდება სხვა ბაზრებზე არსებული კონკურენცისაგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საბანკო ბაზარი ოპერირებს ფულით - აბსოლუტური ლიკვიდურობის მქონე საქონლით, რომლის ჩანაცვლება სხვა საქონლით შეუძლებელია. მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება დაკავშირებულია საბანკო სექტორში ფინანსური კაპიტალის მობილობასთან.

2. საბანკო კონკურენციის ავტორისეული განმარტების თანახმად, საბანკო კონკურენცია არის ბანკებს შორის მეტოქეობის პროცესი, რომელიც განპირობებულია განსაზღვრულ ბაზარზე მოგების წყაროებისა და ზრდის შესაძლებლობების შეზღუდულობით და მიმართულია მათ გადანაწილებაზე ყველაზე მეტად ეფექტიანი ბანკების სასარგებლოდ.

3. კონკურენცია - ყოველთვის ბრძოლაა ბაზარზე საუკეთესო მდგომარეობის მისაღწევად. ჩვეულებრივი ფირმა და ბანკი მსგავსია იმ გაგებით, რომ ისინი ყიდულობენ და ყიდიან ბაზარზე რაღაც საქონელს: ბანკი გვევლინება დეპოზიტების „მყიდველად“ და კრედიტების „გამყიდველად“ (ტიპური საქმიანობა კომერციული ბანკებისათვის), ამიტომ საბანკო სექტორისათვის გამოიყენება დარგობრივი ბაზრების თეორიაში გამოყენებული კონკურენციის მოდელი.

4. კონკურენტული ბრძოლის პროცესში ბანკები იძენენ ზოგიერთ კონკურენტულ უპირატესობას. ბანკების კონკურენტული უპირატესობის ქვეშ იგულისხმება მათი „უაღრესად მაღალი მიღწევები საქმიანობის შერჩეულ მიმართულებაში მეტოქეთა მიღწევებთან შედარებით, რომელიც აღიარებულია მოცემული სუბიექტის გარემოცვით“ საბანკო ბიზნესში. კონკურენტული უპირატესობა შეიძლება გამოიყვანდეს მხოლოდ ბანკის გარე-

სამყაროსთან ურთიერთქმედებაში და იგი ერთდროულად გამოდის როგორც კონკურენტული მეტოქეობის მიზანი და ინსტრუმენტი.

კონკურენტული უპირატესობა ქმნის კონკურენტუნარიანობას - სხვა თანაბარ პირობებში, ბაზრის სხვა მონაწილეებთან წარმატებით კონკურირების უნარს. კონკურენტუნარიანობას შეიძლება ფლობდეს საბანკო პროდუქტი (მომსახურება), თვით ბანკი, და საბანკო სისტემა მთლიანად.

5. არსებობს ბანკისა და საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის ორი დონე (ეროვნული და საერთაშორისო). საბანკო სისტემისათვის ეროვნული კონკურენტუნარიანობა ნიშნავს უცხოურ ბანკებთან კონკურირების უნარს ეროვნულ ბაზარზე კლიენტების ოპერაციების მომსახურებისას. ცალკეული ბანკებისათვის ეროვნული კონკურენტუნარიანობა გულისხმობს ასევე არა მხოლოდ უცხოურ მოთამაშეებთან, არამედ სხვა ეროვნულ ბანკებთან კონკურირების უნარსაც.

6. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების თანახმად, საერთაშორისო საბანკო კონკურენციის განვითარების ძირითადი ტენდენციები ყალიბდება შემდეგნაირად: საბანკო საქმიანობის უნივერსალიზება და საფინანსო კონგლომერატების (ჯგუფების) ჩამოყალიბება; არასაბანკო სტრუქტურების მიერ საბანკო ბაზრებზე ფართოდ შეღწევა; საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგიონული და ეროვნული სფეროების გაფართოება, საბანკო კონკურენციის გლობალიზება; ფასების გარეშე კონკურენციის მნიშვნელობის მუდმივი ზრდა; კონკურენციის სახელმწიფო რეგულირების ლიბერალიზება. ყველა აღნიშნული ტენდენციის ერთობლივი მოქმედება განაპირობებს საბანკო კონკურენციის ინტენსივობას.

7. საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განვითარების ხანმოკლე (1992 წლიდან დღემდე) ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირებისათვის სამართლებრივი და ორგანიზაციული ბაზის მშენებლობა არათანამიმდევრულობით, წყვეტილობითა და წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განვითარების 24-წლიანი პერიოდის განმავლობაში იყო გარკვეული წარმატებებიც, როგორც საკანონმდებლო ბაზის, ასევე ინსტიტუციური განვითარებისა და კანონმდებლობის აღსრულების პროცესში. აღნიშნულზე მიუთითებს, როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის ამსახველი მასალები, ასევე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ უცხოელი ექსპერტის შეფასებაც.

8. საქართველოს საბანკო სექტორის კონკურენტული გარემოს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი დრო ეთმობა ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას; ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა მასშტაბის ეფექტი, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობის არსებობა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების შეძლებისდაგვარად შეფასება.

9. საბანკო სექტორში კონკურენციის არსებული დონის წმინდა სესხებისა და მთლიანი საბანკო აქტივების მეთოდებით კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს საბანკო ბაზარი ზომიერად მონოპოლიზებული ფარგლებშია, თუმცა მისი კონცენტრაცია თითქმის მიღწეულია ზედა კრიტიკულ ზღვარს, რომლის იქით ბაზარი ხდება მაღალმონოპოლიზებული. ამასთან, H-statistic მეთოდით შეფასების თანახმად, აშკარად იკვეთება დომინირება ორი წამყვანი კომერციული ბანკისა (CR2), რომელთა საბაზრო მდგომარეობა აშკარად არღვევს კონკურენციის დამდგენ წესებს.

10. საბანკო სექტორში კონკურენტული სივრცის შექმნა და გაფართოება პირდაპირ უკავშირდება კონკურენციის შესახებ საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის დახვეწას. ხელისუფლების მთავარი გამოწვევა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაიხვეწოს საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საბანკო კონკურენციის რეგულირებაზე. ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, გარკვეული ამოცანები დგება სა-

ქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე, მისი მარეგულირებელი და საზედა-მხედველო როლის გააქტიურების თვალსაზრისით.

11. ქვეყნის საბანკო სექტორში კონკურენციის გაზრდის მიზნით, საკანონმდებლო ხელისუფლებამ უფრო ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მოწესრიგების თვალსაზრისით. კერძოდ, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისა და რეგულირების პრობლემატიკის უფრო სრულად მოცვის მიზნით, დროულად უნდა გამუშავდეს არსებული კანონი „კონკურენციის შესახებ“. გარდა ამისა, აუცილებელია „იპოთეკის“, „უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციის“ და „დეპოზიტების დაზღვევის“ კანონების დამუშავებისა და პარლამენტის მიერ მათი მიღების პროცესის დაჩქარება.

12. საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ინსტიტუციური და სტრუქტურული მოწყობის სისუსტე საჭიროებს საბანკო სისტემის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს კონკურენტული საბანკო გარემოს ფორმირების ინსტიტუციურ უზრუნველყოფას.

დღეისათვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის დატოვება ეროვნული ბანკის შემადგენლობაში. თუმცა, თუ მაინც გადაუდებელი გახდება ზედამხედველობის გატანა სებ-იდან, აღნიშნული ცვლილება უთუოდ თანხვედრაში უნდა მოვიდეს ბაზელის ძირითად პრინციპებთან ეფექტური საბანკო ზედამხედველობის შესახებ.

13. ბანკების კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის გამოიყენება განსხვავებული მაჩვენებლების ერთობლიობაზე დაფუძნებული სხვადასხვა სახის რეიტინგები, რომლებიც ბანკებს აფასებენ სამი ძირითადი მიმართულებით: (ა) საიმედოობა: CAMEL(S), ვ. კრომონოვის მეთოდიკა; (ბ) ფინანსური მდგრადობა: RATE, საქართველოს ბანკის მეთოდიკა; (გ) კრედიტუნარიანობა: სააგენტოების (Moody's, Fitch, S&P) რეიტინგი, ექსპერტი.

ბანკის კონკურენტუნარიანობის შეფასებამ უნდა გადაჭრას ორი ძირითადი ამოცანა: (ა) განსაზღვროს კონკურენტუნარიანობის მიმდინარე დონე; (ბ) მოახდინოს ძირითადი კონკურენტული უპირატესობების ან ნაკლოვანებების იდენტიფიცირება, რომლებიც განაპირობებენ კონკურენტუნარიანობის მიმდინარე დონეს, ე.ი. მისი ამალღების პერსპექტივებსა და მიმართულებებს. თუმცა, ბანკების არსებული სარეიტინგო მეთოდუკები სრულად ვერ პასუხობენ მოცემულ მოთხოვნებს.

14. კონკურენტუნარიანობის შეფასების ახალი მეთოდუკის შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ადეკვატური კონკურენტული ანალიზისა და საბანკო ინსტიტუტების კონკურენტუნარიანობის ამალღების ამოცანებით.

15. ბანკის კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი ნაშრომში შემოთავაზებული მიდგომა დაფუძნებულია ორ საკვანძო ფაქტორზე: მისი კლიენტების ლოიალობასა და ფინანსურ მდგრადობაზე. კლიენტების ლოიალობის ქვეშ იგულისხმება მათი ერთგულება ბანკისადმი, ანუ მტკიცე კავშირების არსებობა, უპირატესად, მისი მომსახურებით სარგებლობა. ფინანსური მდგრადობა ახასიათებს ბანკის საკუთარ მდგრადობას, რომელიც დაკავშირებულია ბაზარზე მის პოზიციასთან და ფინანსურ მდგომარეობასთან.

აღნიშნული ფაქტორები განიხილებიან მათი სუბფაქტორების ჭრილში, რომლებიც, თავის მხრივ, ხასიათდებიან კრიტერიუმებითა და მათი შესაბამისი მაჩვენებლებით. ფაქტორების, სუბფაქტორების, კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემატიზაციის საფუძველზე წარმოდგენილია ბანკის კონკურენტუნარიანობის შეფასების მოდიფიცირებული მეთოდუკა, რომლითაც შესაძლებელი ხდება კონკურენტი-ბანკების ჯგუფების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება, მათი კონკურენტუნარიანობის თანამედროვე მდგომარეობისა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

1. ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ხელი-სუფლება და საზოგადოება - 2013“, თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013 წლის 16 ნოემბერი.
2. მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“, გორი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2014 წლის 28-29 ნოემბერი.
3. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „ფინანსების განვითარების პრობლემები და პერსპექტივები თანამედროვე მსოფლიოში“, პოლტავა: პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტი, 2015 წ., 22-23 ოქტომბერი.
4. მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „განათლება XXI საუკუნეში“, გორი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2015 წლის 13-14 ნოემბერი.
5. II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „პარადიგმული ძვრები XXI საუკუნის ეკონომიკურ თეორიაში“, კიევი: ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი, 2015 წ., 15-16 ოქტომბერი.

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:

1. საბანკო კონკურენციის თეორიული საფუძვლები (14.02.2015).
2. საბანკო კონკურენციის თავისებურებანი საქართველოში (04.07.2015).
3. საბანკო კონკურენციის თეორიული საფუძვლები და მსოფლიო ტენდენციები (13.02.2016).

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის მეცნიერულ შრომებში:

1. სოციალური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება. - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“. - 2013, № 6, გვ. 215-226.
2. საბანკო კონკურენციის თავისებურებანი საქართველოში. - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“. - 2015, № 1, გვ. 181-193.
3. საჯარო-კერძო პარტნიორობის ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფა საქართველოში. - მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი გან-

ვითარება“ - მასალები, 2014 წლის 28-29 ნოემბერი. - გორი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2015, გვ. 383-389.

4. შრომითი მიგრაციისა და ფულადი გზავნილების თავისებურებანი საქართველოში. - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „ფინანსების განვითარების პრობლემები და პერსპექტივები თანამედროვე მსოფლიოში“ - მასალები, 2015 წლის 22-23 ოქტომბერი. - პოლტავა: პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტი, 2015, გვ. 80-81.

5. შრომითი მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში. - II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „პარადიგმული ძვრები XXI საუკუნის ეკონომიკურ თეორიაში“ - მასალები, 2015 წლის 15-16 ოქტომბერი. - კიევი: ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი, 2015, გვ. 238-241.

6. საქართველოს სახელმწიფო ვალი და მისი მომსახურების ორგანიზაცია. - მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „განათლება XXI საუკუნეში“ - მასალები, 2015 წლის 13-14 ნოემბერი. - გორი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2015, გვ. 139-144.

7. მენეჯერული ეკონომიკა (სახელმძღვანელო). - თბილისი: გამომცემლობა საზოგადოება ცოდნა“, 2015. - 316 გვ.

8. კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის შეფასების მეთოდები. - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“. - 2016, №1, გვ. 148-154.

ABSTRACT

The dissertation work is dedicated to analysis and evaluation of the situation in Georgia's banking competition on the basis of its national characteristics and to identify and improve the basic directions. The work consists of 169 pages and "PhD thesis submitted instruction execution" by include: Title pages, signatures, copyright page, summary, contents, list of tables, list of drawings, the text of the list of the literature. Basic text, for its part, consists of introduction, literature review, the results will be discussed and a conclusion.

In the introduction to the study work actuality is well-founded; goal and objectives set out in the study, the subject and object, the theoretical and methodological bases and database, scientific news; displayed the work of theoretical and practical importance, and approbation of publication, volume and structure.

Literature review and answered questions raised about: the origin of the problem raised in the dissertation work, what is already known about the problem, what alternative methods are developed to solve the problem and asked which of them is used in this work.

The results and their discussion are presented in three chapters (by 8 paragraphs).

The first chapter - "banking competition and theoretical basis of trends in the world" - discusses the theoretical basis of banking competition and the development trends of globalization, the economic theory of competition in the banking sector by adapting the specification of the conceptual apparatus. In this connection, first of all, the literature, the views of critical estimate basis subject to the author's definition of bank competition, according to which, Banking competition is among banks of the rivalry, which is due to certain market sources of profit growth and capacity limitations, and they are focused on the allocation of the most efficient banks in favor. In fact, this definition reflects the precondition of the competition - the development of the capacity limitations, the outcome - the most efficient banks in natural selection, and its dynamic - the constant reallocation of resources.

The competition spheres of, depending on a distinction between the concepts of "domestic and international" bank of banks to compete and "National and International" competitiveness. Contrast widely accepted approach, the international banking competition is viewed as a competition between national and foreign banks in the domestic markets. The international competition will be revealed in the national markets transboundary operations and foreign branches or subsidiaries in the form of transactions. The National competitiveness is understood the ability of individual countries to compete with the banks to foreign banks to the national market. In contrast to himself, the international competitiveness of The National Banks' ability to compete with the international banks in foreign markets.

The banks international competitiveness, for its part, is presented in two different ways - foreign and overseas. Speaking about the competitiveness of foreign banks' ability to compete with foreign banks to take into account the National and foreign markets, a resident of the international customer service operations. The ability to compete with foreign banks not only to customers resident in the national market for the service, but also for foreign customers in foreign markets services which generate foreign competitiveness - international competitiveness of the highest quality.

At the top of the bank has been exposed The competition development trends of globalization: banking and financial conglomerates universalization (groups) to

establish; non-banking institutions to gain access to markets widely; credit institutions of regional and the National spheres of enlargement, the globalization of the competition banking; non-prices competition continued growth; the competition and liberalization of state regulation. The joint action stipulates banking trends in the intensity of the competition.

The second chapter - "the current state of the competition analysis and evaluation Georgian banking sector" - explored and assessed the National experience of banking competition, the competitive environment in the banking sector of the generalization of the highlights the competition and the level of specific parameters.

The banking competition in the Georgian experience, study and generalization of the well-founded conclusion that a competitive environment to provide legal - the legal basis for the expansion of commercial banks to make them more effective steps towards consumers. Here we mean the quality of banking services, as well as its geography and providing access to certain banking products.

The Georgian banking sector's competitive environment, analyzing the generalization performance is estimated that the risk-based supervision principles in mind, over the past decade is still more time was devoted to discussion of estimates of the banks profitability; emphasized the on issues such as the effects of scale, market niche and / or other competitive advantages, and the existence of possible credit losses forecast grades.

The competition banking sector, the level of net loans and total the banking assets evaluation methods established that the Georgian banking market is monopolized moderately constituents, but its concentration is almost reached the upper critical point, beyond which the market becomes high monopolization. In addition, H-statistic according to the method, it is clear that the dominance of the two leading commercial banks (CR2), the market conditions are clearly in contravention of the rules of the competition determining.

The third chapter - "The banking on improving the competition basic directions of Georgia" - is dedicated to improving the competition the banking and basic directions of the legislative, legal, institutional and methodological providing recommendations.

The competition The banking sector on the basis of existing legislation, the author came to the conclusion that the deficiencies in the legislative field, the state authorities, business circles of of the dialogue, it is necessary to develop and adopt laws and regulations to ensure the improvement of the competition the banking sector in the entire complex, amend existing laws and regulations. In particular, the prevention of unfair competition and regulatory issues more fully cover the timely gadasamushavelia existing law "on competition", which is closer to the EU competition legislation and the requirements of the World Trade Organization in the field of the competition. Furthermore, it is necessary to "hypothech", "immovable property rights" and "the deposit insurance" laws and the process of their admission process.

The country's social economic development remit, augmented by a provision the banking system of state supervision and control over the banking supervision function in implementing the structural unit of the National Bank of the expediency of leaving. In addition, the idea has been implemented on the basis that you will not necessarily be immediate removal from the supervision Georgian National Bank, the change will have to come in line with the Basel core principles for effective the banking supervision.

At the chapter of the key factors in the competitiveness of the banks revealed: financial the stability of factors with separated customer loyalty factors and underlines its leading role in foreign The banks participation is strongly recommended. The banks competitiveness factors to be considered in the light of their makonkretizebeli sub-factors, Which are relevant to a number of criteria and indicators. Viewed the bank's financial stability and customer loyalty to the quality of the relationship between international The banking The competition growth conditions.

The factors, sub The factors, criteria and indicators systemization allowed the author to present the competitiveness of banks and the banking system to the modified methods, which may help to the strengths and weaknesses of competing groups - the banks grades, their competitiveness and the improvement of the present status basic directions.

The report briefly formed dissertation research main results, conclusions and suggestions, which may be used of Georgia the representative and executive bodies of the law-making process - the legal and the banking competition in the provision of legal and institutional, as well as the training - educational and scientific - research institutions work - relevant training programs and scientific report.